499.962.1
გ-472

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

*ხელნაწერის უფლებით*

ქეთევან გიგაშვილი

# ზმნის უღლების სისტემა საშუალ ქართულში

10.02.01 – ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

## ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან გიგაშვილი

# ზმნის უღლების სისტემა საშუალ ქართულში

10.02.01 – ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

1974

## ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2005

ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე

**ოფიციალური ოპონენტები:**

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. კიკნაძე (10.02.01)
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ონიანი (10.02.08)
3. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. უთურგაიძე (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 20 აპრილს, 14.30 საათზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **Р**.10.07. № 7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

**მისამართი:** თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. I კორპუსი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: თბილისი, 0134, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 18 მარტს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /რ. ქურდაძე/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.**

საშუალი ქართული უაღრესად მნიშვნელოვანი მონაკვეთია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა. აქ თანხვდებიან ერთმანეთს ძველი და ახალი ქართული და აქვე განეშორებიან. ენაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები სწორედ ამ დროს ხორციელდება თუ სრულდება. ყველაზე მრავლისმთქმელი ზმნის უღლების სისტემა ამ პერიოდშია, რადგან იგი ძველი ქართულის უღლების სისტემის ინფორმაციასაც შეიცავს და ახალი ქართულის კონტურებსაც სრულყოფილად წარმოაჩენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზმნა ყველაზე სრულყოფილად, მთელი თავისი შინაგანი პოტენციით ამ გადასახედიდან მოჩანს. ეს ფაქტი საშუალი ქართულის მონაცემებს ფასდაუდებელ ღირებულებას სძენს.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.**

კვლევის მიზანია უღლების სისტემის თავისებურებათა გამოვლენა და მის შემადგენელ ერთეულთა შორის ურთიერთმიმართებების დადგენა საშუალ ქართულში. კვლევის მიზანთან უშუალოდ არის დაკავშირებული შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა:

1. ზმნურ პარადიგმათა ჩასახვა-ფორმირების გზების ძიება;
2. ზმნის უძველესი ფუძის აგებულების აღდგენა;
3. მორფოლოგიურ კატეგორიათა (დრო, კილო, ასპექტი, ჯერობა, გვარი, ქცევა) ფუნქციების შესწავლა და მათში მიმდინარე საყურადღებო ცვლილებების აღნუსხვა;
4. მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება.

XII-XVIII საუკუნეების ძეგლებიდან ამ მიზნით შევისწავლეთ როგორც მხატვრუ-ლი ლიტერატურის ნიმუშები, ისე ისტორიული, იურიდიული, ეპისტოლარული და სამედიცინო ჟანრის წყაროები. ისტორიულში იგულისხმება საბუთები, სიგელ-გუჯრები და მემატიანეთა თხზულებანი. მხატვრული ძეგლებიდან გამოვიკვლიეთ ადრეული პერიოდის და ასევე მოგვიანო, აღორძინების ეპოქის, პოეზია და პროზა.

**მეცნიერული სიახლე.** ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს მასში დასმულ პრობლემათა ახლებური გადაწყვეტა, ზმნურ პარადიგმათა ჩასახვა- ფორმირებისა და ზმნის უძველესი ფუძის აგებულების აღდგენის ახალი გზების მოძიება.